

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიმდინარე ვაკანსიები

1. [ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი](#)

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსის პირობები

1. შესაბამის ველში კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) შესაბამისად დამოწმებული შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები/ასლი (ორგანიზაცია, თანამდებობა, დანიშვნისა და გათავისუფლების თარიღების მითითებით).

2. კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს რეკომენდატორი და ატვირთოს ხელმოწერით დადასტურებული სარეკომენდაციო წერილი.

3. კანდიდატმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.

კონკურსის ეტაპები

1. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) ან სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ შესაბამის დოკუმენტაციას, ან არ ექნება სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი, ვერ გადავა კონკურსის შემდგომ ეტაპზე (გასაუბრება). აღნიშნულის შესახებ კანდიდატს ეცნობება სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2. კანდიდატის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება წარმოადგენს კანდიდატის შესაბამის ეტაპზე დაუშვებლობის საფუძველებს, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

3. თითოეული ვაკანტური თანამდებობისათვის გასაუბრებას ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

4. გასაუბრებისას ფასდება კანდიდატის ცოდნის, პროფესიული დონის, კვალიფიკაციის, პიროვნული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5. გასაუბრება წარიმართება ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის და კორექტულობის პრინციპების დაცვით.

6. კანდიდატთან გასაუბრებაზე დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ კანდიდატები და უფლებამოსილი პირები.
7. გასაუბრების დროს შესაძლებელია განხორციელდეს აუდიო/ვიდეო ჩაწერა, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება კანდიდატს.
8. გასაუბრების დღეს ყველა კანდიდატი უნდა გამოცხადდეს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროში (მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. №30, III სართული) კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.
9. კანდიდატებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატი არ დაიშვება გასაუბრებაზე.
10. კონკურსის შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კანდიდატს წერილობით ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საპრეტენზიო კომისიისათვის მიმართვა

კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი (სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროში, მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. №30, III სართული) მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

კონკურსის ეტაპები

**განცხადების გადარჩევა
გასაუბრება**